

Eco - Tour for Celebrating the International Day for Biological Diversity



ბიომრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად ეკოტური მოეწყო

2016 წლის 21-22 მაისს, ბიომრავალფეროვნების დღის აღსანიშნავად (22 მაისს ბიომრავალფეროვნების საერთაშორისო დღეა) ლაგოდეხის დაცულ ტერიტორიებზე მოეწყო ეკოტური სკოლის მოსწავლეებისთვის. ეკოტური KfW - გერმანიის განვითარების ბანკის, არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკოხედვა/EcoVision“ და კავკასიის ბუნების ფონდის (CNF), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მხარდაჭერით ჩატარდა, კამპანიის „დასუფთავების დღე არის ყოველდღე“ ფარგლებში.

ეკოტურში მონაწილეობა მიიღეს დასუფთავების აქციებსა და ევროპის დღის აღსანიშნავ ღონისძიებაზე გამართული ეკოვიქტორინის მე-2 და მე-3 ადგილზე გასულმა კასპისა და მცხეთის სკოლების გუნდებმა და მათმა პედაგოგებმა.

ეკოტურის ფარგლებში მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგები ბიომრავალფეროვნების, დაცული ტერიტორიების, ეკოტურიზმის, ნარჩენების და ენერგოეფექტურობის შესახებ. ასევე გაიმართა მასტერ-კლასები პლასტმასის ნარჩენებისგან ახალი ნივთების შექმნაზე. ეკოტურის ფარგლებში მოეწყო ეკოსიმღერების კარაოკე.

Eco - Tour for Celebrating International Day for Biological Diversity

On May 21-22, 2016, for celebrating the International Day for Biological Diversity (May 22 is the International Day of Biodiversity!), in Lagodekhi Protected Area, an eco-tour for schoolchildren arranged. It was organized by KfW, the German Development Bank, NGO “EcoVision,” Caucasus Nature Fund (CNF), The German Society for International Cooperation (GIZ) and supported by the Agency of Protected Areas, within the framework of the campaign “Clean Up Day is Every Day.”

In eco-tour participated 2nd and 3rd place winner children (students of Kaspi and Mtskheta schools) of eco-quizzes, which was held at clean up actions and Europe Day event.

During the eco-tour the students participated in trainings about biodiversity, protected areas, eco-tourism, waste and energy efficiency. There were also held master classes during which students learned how to create new things from plastic waste. Within the framework of eco-tour eco-songs karaoke was also arranged.

Students with rangers of protected areas participated in hiking tour of Ninoshkhevi

მოსწავლეებმა დაცული ტერიტორიების სააგენტოს რეინჯერებთან ერთად დალაშქრეს წინოსხევის ჩანჩქერის ტურისტული ბილიკი.

ეკოტურის ფარგლებში ასევე ჩატარდა პრეზენტაცია ეკოფილმების ფესტივალის და კონკურსის შესახებ, რომელიც ტარდება „ეკოხედვას/EcoVision“ ორგანიზებით და ა.შ.შ-ს საელჩოს საქართველოში დაფინანსებით. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოეწყო ეკოვიქტორინა სკოლის მოსწავლეთათვის, რომლის გამარჯვებულს დაჯილდოვდა საზაფხულო ეკობანაკის 1-კვირიანი საგზურით.

Waterfall.

During the eco-tour, the presentation of Eco Film Festival and competition was arranged, which is being implemented by NGO “EcoVision” and financed by the U.S. Embassy in Georgia. Within the framework of this project was held an eco-quiz for schoolchildren and the winner was rewarded with Invitation at Summer Eco-camp.



<http://w3.cenn.org/wssl/>

CENN is a member of the:



22 MAY 2016
**INTERNATIONAL DAY
FOR BIOLOGICAL DIVERSITY**
Mainstreaming Biodiversity;
Sustaining People and their Livelihoods